№ 96 მაისი 9, სამშაბათი — 1889 — მაისი 9, სამშაბათი № 96


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 მაისს.

კვირას, 14 მაისს

მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

სეირნობა

და

ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ. ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ღირება,

დაწვრილებით აფიშებში გამოცხადებული

ტფილისი, 8 მაისი

მთელი რუსის მწერლობა და საზოგადოება ერთ-ხმად და პირუთვნელად ჰგლოვობს გამოჩენილის მწერლის შჩედრინის გარდაცვალებას. ყველამ იგრძნო, რომ რუსის მწერლობას გამოაკლდა არა მარტო ნიჭიერი და მხნე მწერალი, რომელიც ოც-და-ცამეტის წლის განმავლობაში კალმის წვერით ემსახურებოდა სამშობლოს, არამედ მეთაური მთელის სამწერლო რაზმისა, რომელსაც განსვენებულმა გზა გაუკვალა და სახელი და ნდობა მოუპოვა. შჩედრინი ძვირფასი და საყვარელი იყო მწერლობისათვის არა მარტო თავისის საუცხოვო ნაწერებით, არამედ თავისის ზნეობრივის სიმტკიცით, მხნეობითა და მწერლობისადმი ერთგულებითა, და რამდენადაც მხნეობდა განსვენებული, იმდენად მეტი ნიჭი ემატებოდა იმისს ნაწერებსაც.

ეს თვისება განსვენებულის ხასიათისა უფრო საყურადღებო იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ დროს და გარემოებას განსვენებულის მოღვაწეობისას. შჩედრინმა მკვიდრად ფეხი მოიკიდა რუსის მწერლობაში მაშინ, როდესაც რუსეთს ახალმა ნიავმა დაჰბერა, მაშინ, როდესაც რუსეთი განახლდა და დაადგა ახალს გზასა და მცნებას ცხოვრებისას. მას შემდეგ რუსეთის მწერლობა და საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო. პირველი ბანაკი ჰგლამობდა რუსეთი ძველს ქერქში დაეტოვებინა და არ შეეცვალა საძირკველი ძველის ცხოვრებისა, ხოლო მეორე სცდილობდა რუსეთში დაემკვიდრებინა სიმართლე, ძმობა, ადამიანური ურთიერთობა, ერთის სიტყვით, ყოველივე, რაიცა შეადგენს ნამდვილს საძირკველს წარმატებისასა და ბედნიერებისას. ამ მეორე ბანაკს ეკუთვნოდა შჩედრინი და პირველ დღიდგან უკანასკნელ ჟამამდე შჩედრინი არც ერთხელ არ შეფერხებულა და, რამდენადაც მწერლობის ვითარება ნებას აძლევდა, არც ერთხელ არ დახეულა უკან თავისს მოწინააღმდეგეთა წინაშე, პირ-იქით, რაც დღე მიდიოდა, განსვენებული, მიუხედავად თავისის უძლურებისა და ავადმყოფობისა, თანდათან უფრო და უფრო მხნეობდა და კალამი ხელიდგან მხოლოდ მაშინ გაჰვარდა, როცა სული დალია. დიახ, შჩედრინს ძნელს დროს ჰხვდა წილად მოღვაწეობა. მართალია, იგი ისეთს დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როცა რუსეთს ახალმა ნიავმა დაჰბერა, მაგრამ ნურც ამას დავივიწყებთ, რომ ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში ძალმა ბნელეთისამ მეტად იჩინა თავი, რუსეთის წარმატებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა გზაზე, რაიცა მეტად აძნელებდა რუსეთის განახლებასა და აღორძინებას. ამ ბრძოლაში მრავალმა მხნე და გულადმა მოღვაწემ ჯანი, ღონე და სიცოცხლე დაჰლია, მრავალმა საქმეზე ხელი აიღო და თავის თავი დამარცხებულად ჩასთვალა. შჩედრინი-კი მუდამ მხნეობდა და, რაც დრო მიდიოდა, მეტის მედგრობითა და უშიშრობითა ებრძოდა იმ ძალას ბნელეთისას და თავისის მაგალითით სხვებსაც ამხნევებდა და ასულდგმულებდა.

რა არის უმთავრესი ღონე შჩედრინისა? გარდა იმ იშვიათის სამწერლო ნიჭისა, რომელიც ბუნებამ უხვად მიჰმადლა, შჩედრინს სხვა ძალაც ჰქონდა. შჩედრინი იმ მწერალთაგანი იყო, რომელიც მუდამა ფხიზლობდა და ყოველთვის შენიშნავდა ხოლმე ყოველს ბიწიერებასა და ბოროტებას, რომელიც ხან ფერს იცვლიდა და ხან ქერქს. შჩედრინის ფხიზელს თვალს არასოდეს არ გამოეპარებოდა არც ერთი მათგანი და იგი ყოველთვის მხნედ და თამამად მიიტანდა ხოლმე ზედ იერიშს. ამ სახით შჩედრინმა მრავალი ბიწიერება და მჩაგვრელი ძალა გამოაშკარავა, სამუდამოდ სახელი გაუტეხა. ყოველთვის, როცა შემთხვევა ჰქონდა, თავის ლახტს მძიმედა სცემდა ამ ძალას და ამ ნაირად დიდი სამსახური გაუწია სამშობლოს.

შჩედრინი იმდენად გაიტაცა მწერლობამ, რომ განსვენებულს იმის გარეშე თავისი თავიც არ ახსოვდა. მწერლობა იმისთვის თავი და თავი სახსარი იყო სამშობლოს სამსახურისათვის. თვით სიკვდილის ჟამს შჩედრინმა თავისს შვილს შემდეგი ანდერძი დაუტოვა: ყველაზე უფრო გიყვარდეს მწერლობა და მწერლობის სახელსა და წოდებას სხვაზე ნუ გასცვლიო. ამაზე უკეთესს ანდერძს ვერ დაუტოვებს ვერც ერთი მწერალი ვერც შვილსა და ვერც სხვა მწერლებს...

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

** გუშინ, 8 მაისს, თავად-აზნაურთა წლიურ კრებაზე ყველა საქმეები გათავდა და არჩევანებს შეუდგნენ. უნდა ამოერჩიათ ერთი წევრი გამგეობისა, ნაცვლად თ. ი. მაჩაბლისა, რომელიც რიგისამებრ თავს ანებებდა წევრობას,—სამი დამფასებელი: ანტ. ფურცელაძე და თ. გ. ციციშვილი რიგისამებრ უნდა გამოსულიყვნენ, ხოლო მესამე — თ. რ. ჩოლოყაშვილი სნეულობის გამო სამსახურს სრულიად თავს ანებებდა.

გამგეობის წევრად ამორჩეულ იქმნა ისევ თ. ი. მაჩაბელი, რომელმაც მიიღო 166 თეთრი კენჭი და 40 შავი.

# ფელეტონი

## დედათა უფლების საქმე

(შემდეგი *)

დადგა ევროპაში მეთვრამეტე საუკუნე როგორც ვიცით, ეს საუკუნე იყო დრო გამანთავისუფლებელ აზრების აღორძინებისა, იგი ჰღაღადებდა თავისუფლებას როგორც აზროვნობისას, აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრებისას. ამ დროს საგნადა ჰქონდა გაეხსნა ის მრავალი კვანძი, რაც-კი გამოენასკვა ხანგრძლივ ისტორიის უსამართლობას. მონობა, პიროვნული, თუ ეკონომიური, იყო აღვიარებული, ვითარცა შემაგინებელი კაცის წმიდათა-წმიდისა და ცოცხალი აზრი, გაღვიძებული კრიტიკა აძრობდა დამყაყებულს ქერქს ყოველ მხარეს ცხოვრებისას. თუ ამ აზრმა ვერ მოსპო სამუდამოდ ყველა დაძველებული და დაობებული ტრადიცია, ძირი მაინც ღრმად შეურყია. ასევე იყო ქალების მდგომარეობაშიაც, თავისუფალის ქარის სიომ დაჰკრა აგრეთვე ამის ბედ-იღბალსაც იმ ძველს ცრუ-მორწმუნეობას, ვითომ ქალი იყოს ბოროტი არსება,—რომელიც აგრე იყო გავრცელებული საშუალო საუკუნოებში, ეხლა მოაკლდა ყოველივე მნიშვნელობა და გამოიწვევდა მხოლოდ ღიმილს ყოველ ცოტაოდენად მაინც შეგნებულ კაცის სახეზე. მართალია, საერთო მოძრაობამ ვერ გაათანასწორა უფლებით დედაკაცი მამაკაცთან, იგი ჯერ კიდევ დაბლა იდგა მამაკაცზედ ქონებრივადაცა და პიროვნულადაც, არ იყო თანაბარი მონაწილე ძმისა სამემკვიდრო ქონებაში, ცოლ-ქმართა გაყრაში კაცს ბევრ გვარი უპირატესობა ჰქონდა და დედაკაცი-კი ბევრნაირად იყო შეხუთული, მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველა ამისა, ქალი უკეთ ჰგრძნობდა თავს, უფრო თავისუფლად სუნთქავდა, უფრო მეტს პატივს სცემდნენ იმას, ეხლა მიაქციეს ყურადღება ქალის განათლებას და გონებით განვითარებული ეხლანდელი ქალი იღებდა მონაწილეობას საზოგადოების საქმეთა მიმდინარეობაში. ვიტყვით მეტსაც: თუ მეთვრამეტე საუკუნე ითვლება წარმომადგენლად მაღალის აზრებისა, იგი ამაში ბევრად დავალებულია მაშინდელ ქალებისაგან. ამ ქალებმა ალზარდეს მთელი მოდგმა საუკეთესო მწერლებისა, მათ პირველად ჩაუნერგეს მომავალ მოღვაწეთ კეთილშობილური აზრები, სიყვარული ადამიანისა, ძმობა და თანხმობა — ეს უძვირფასესნი გრძნობანი ყოველის კაცისა. მრავალმა სალონებმა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში მისცეს ქვეყანას არა ერთი და ორი ყმაწვილი კაცი, აღჭურვილი მაღალის განვითარებით, განმსჭვალული ნამდვილის ჭეშმარიტის შეხედულობით კაცთა ცხოვრებაზედ. ამ სალონებში ხშირად სწყდებოდა პირველად საქვეყნო საქმეები და სხ.

მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქალების საქმეს ეტყობა რეაქცია, შეფერხება. ქალების განათლებას ეხლა ყოველ გვარად ამცირებდნენ და ავიწროებდნენ, იმიტომრომ საზოგადოებაში დატრიალდა ცრუ აზრი, ვითომ განათლება ჰრყვნიდეს ქალს, აკარგვინებდეს ქალობას. მართალია, მაშინ ბევრ გვარი უზნეობა იყო, მაგრამ ამის მიზეზი ის იყო, რომ ქალე აქამდე დამონავებული და შეხუთული იყო და რაკი იგრძნო თავი თავისუფლად, ცხადია, საზღვარსაც გადავიდა. განათლება აქ არაფერს შუაში იყო, განათლება თუ არ აამაღლებს, არ დაამდაბლებს კაცსა. ზემოხსენებული რეაქცია ეტყობა არა მარტო საზოგადოებას, არამედ თვით კანონსაც. საკმარისია გავიხსენოთ კანონები ნაპოლეონ პირველისა, რომელიც მეტად ჰხუთავდა ქალის პიროვნებას. ცოლ-ქმრობის კანონი იმდენად მძიმე იყო ცოლისთვის, რომ იგი თითქმის ვერასოდეს ვერ შესძლებდა ქმართან გაყრას.

1830 წლებში დაჰბერა ნათელის მომფენმა ნიავმა და ალაპარაკა მთელი ევროპა ქალების ემანსიპაციაზედ. ეხლა ქალების უფლების საქმე უფრო ფართოდ იყო დაყენებული, ვიდრე აქამომდე: თხოულობდნენ არა მარტო სამოქალაქო უფლებას ქალისთვის, არამედ პოლიტიკურს უფლებასაც; დარწმუნდნენ, რომ ეს უკანასკნელი შეადგენდა უმთავრესს სახსარს ნასკვის გახსნისას; რაკი ქალს ექნება საარჩევანო უფლება, მაშინ დიალაც უფრო ადვილი მისაღებია სხვა უფლებაო. სიმოკლის გულისათვის შევეხებით მხოლოდ იმ ქვეყნებს, სადაც, ჩვენის აზრით, უფრო მკაფიოდ გამოიხატა ქალების უფლებათა საქმე: საფრანგეთს, ინგლისსა, დანიას და ჩრდილო-ამერიკის შტატებს.

საფრანგეთი ჭეშმარიტად არის მეთაური ახალის მოძრაობისა, იდეა თანასწორის განათლებისა, საქმის თავისუფალის ამორჩევისა, შესაფერად ნიჭისა და სულის მიდრეკილებისა, როგორც მამაკაცისთვის, ისე დედაკაცისთვის, ეს უპრწყინვალესი იდეა პირველად საფრანგეთში გამოითქვა. აქ დაარსდა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი საგანგებოდ ქალების საქმის გამოსარკვევად; შესდგა მრავალი წრე, რომელნიც მხნედ იბრძოდნენ დედათა უფლებისთვის და ამ წრეთა შორის ყველაზედ გამოჩენილი წრე იყო სენსიმონისტებისა, რომელიც ხმა-მაღლა ჰთხოულობდა ქალების მდგომარეობის განკარგებასა და გაუმჯობესობას. 1848 წელს დაიწყეს საქალებო კლუბების დაარსება საპოლიტიკო და სამოქალაქო უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ გასაკვირველია, თუმცა საფრანგეთი ითვლება სამართლიანად მოთავედ ყოველიფერში, მაგრამ აქამომდე იქაური ქალი ბევრად დაბლა სდგას სხვა ევროპიელ ქალზე, იგი არა თუ საარჩევანო უფლებას, არამედ უბრალო სამოქალაქო უფლებასაც მოკლებულია. მაგალითად, ცოლს არა აქვს უფლება იქონიოს ცალკე საკუთრება, აგრეთვე ქალს არა აქვს ნება მოწმობისა უახლოვეს კაცთა საქმეშიაც-კი (შვილების საქმეში). მიუხედავად ამისა ქალის მოსარჩლენი არა სდებენ იარაღს და მხნედ იბრძვიან, არსდება საზოგადოება საზოგადოებაზედ საგანგებოდ ქალების საქმისათვის. ნაპოლეონ მესამის დროს დაარსდა „საზოგადოება დედათა უფლებისა“, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ჟურნალი. 1881 წელს დაარსდა ახლად „საზოგადოება დედათა მდგომარეობის განკარგებისა და მათის უფლების გაკანონიერებისა“, რომელსაც საპატიო თავ-მჯდომარედ ჰყავს გამოჩენილი მწერალი-ქალი ანდრე ლეო. ამ საზოგადოებას ჰყავს მომხრენი პალატაში და იმათ შემწეობით ჰსურს ამ ცოტა ხანში შეიტანოს პალატაში კანონ-პროექტი ქალების უფლების შესახებ. ამ ჟამად საფრანგეთის ქალს აქვს მიღებული ერთი ფრიად საგრძნობელი უფლება. ეს ისაა, რომ პარიჟის უნივერსიტეტმაც და ყველა სხვებმაც დიდი ხანია გაუღეს მას კარი და აჯილდოებენ სწავლა-დამთავრებულს ქალებს სამეცნიერო ხარისხით.

თუმცა ინგლისში უფრო გვიან დაიწყო ახალი მოძრაობა, მაგრამ არა ნაკლების თანაგრძნობით იყო მიღებული და უნდა ვსთქვათ, რომ უფრო ნაყოფიერიც იყო. 1860 წლებში დიდის ყურადღებით მიეგებნენ დედათა უფლების საქმეს. იმართებოდა მრავალი მიტინგი, სადაც ინგლისის სა-

*) იხ. „ივერია“ № 92.

დამფასებელთა წევრობა ისურვეს და კენჭი იყარეს ექვსმა კაცმა და 224 კენჭიდამ მიიღეს:

1, თ. გიორგი სირდიონის ძემ ციციშვილმა 150 თეთრი—74 შავი.

2, ანტონ ნიკოლოოზის ძემ ფურცელაძემ—128 თეთრი—96 შავი.

3, ვასილ ალექსანდრეს ძემ სულხანიშვილმა—108 თეთ.—116 შავი.

4, გრიგოლ დავითის ძემ ლოლაძემ—80 თეთ.—144 შავი.

5, დავით კონსტანტინეს ძემ ჩოლოყაშვილმა—78 თეთ.—146 შავი.

6, თ. ვასილი მიხეილის ძემ თუმანიშვილმა—57 თეთ.—167 შავი.

რადგან პირველ ორის გარდა კანონიერი რიცხვი თეთრის კენჭისა არავის ამოუვიდა, ამიტომ კენჭის ყრა ხელ-მეორედ იქმნა ოთხს შორის, და გარდა ამისა კენჭის ყრა ისურვეს კიდევ ორმა ახალმა.

ხელ-მეორედ კენჭი იყარეს და მიიღეს 190 კენჭიდამ:

1, სულხანიშვილმა, ვასილ ალექსანდრეს ძემ—114 თეთ.—76 შავი.

2, ჩოლოყაშვილმა, დავით კონსტანტინეს ძემ—63—127

3, ლოლაძემ გრიგოლ დავითის ძემ. . . . . 73—117.

4, თ. თუმანიშვილმა, ვასილ მიხეილის ძემ . . . 47—143.

5, თ. ციციშვილმა, გიორგი გივის ძემ . . . . . 67—123.

6, გაბაშვილმა, ალექსანდრე ზაქარიას ძემ . . . . . 49—141.

⁂ 9 ამ თთვისას სიონში მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პალადი სწირავს მისის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის სახელწოდების დღესასწაულის გამო. წირვის შემდეგ პარაკლისი იქნება გადახდილი.

⁂ 7 მაისისთვის დანიშნული სეირნობა და ლატარია ალეგრი მუშტაიდის ბაღში, ავდრის გამო, გადაიდო საკვირაოდ, ესე იგი 14 მაისისათვის.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ახლო ხანებში ბ-ნი ბალანჩივაძე დაიწყებს თავის კონცერტების გამართვას დასავლეთ საქართველოში. პირველი კონცერტი ბალანჩივაძისა გამართული იქნება ქუთაისში 13 მაისს, მესამე დღეს იქაურის სათავად-აზნაურო წევრთა კრებისას. შემდეგ ბალანჩივაძე გაჰმართავს კონცერტს ახალ-სენაკში, ოზურგეთსა და ბათუმში. ერთი ნაწილი შემოსავლისა ბ-ნს მეკონცერტეს წინდაწინვე გადაუდვია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ

⁂ გუშინ, 8 ამ თთვისას, გადახდილ იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი კავკასიის მთავარ-მართებლის, თავ. დონდუკოვ-კორსაკოვის მეუღლის ნადეჟდა ანდრიას ასულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადიხადა მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ პალადიმ.

⁂ თელავში ამ ჟამად დიდის ყურადღებით ექცევა საზოგადოება თელავის ესრედ-წოდებულს დეპოს, ანუ საზოგადო თაოსნობით დაარსებულს სავაჭრო დუქანს, რომელშიაც ახალი წესი შემოუღიათ ანგარიშის წარმოებისათვის ყოველი წევრი ხალისით ადევნებს თვალ-ყურს ამ დეპოს მოქმედებას და დიდი ლაპარაკი აქვთ საზოგადოდ მის ავ-კარგიანობაზედაო.

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას საზღვარ-გარეთ წერილების გამგზავნთათვის ახალი საფოსტო მარკები შემოუღია: წითელი — ოთხ-კაპეიკიანი მარკა, ლურჯი—ორ-შაურიანი, იის ფერი — აბაზიანი, ჟამბახის ფერი — ათ-შაურიანი და მიხაკის ფერი — მანეთიანი. ეს მარკები ოთხ-კუთხიანი კი არ იქნება, არამედ რვა-კუთხედი.

⁂ ამ თთვის 7 პეტერბურგს წავიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ბ-ნი გროსმანი.

⁂ 5 ამ თთვისას, როცა შაჰი სპარსეთისა ტფილისიდგან გაემგზავრა და, როცა ჯარები უკანვე ბრუნდებოდნენ, ბარიათინსკის ქუჩაზე, ინჟენერის ქუჩის მოსახვევში შემდეგი უბედურება მოხდა: სხვათა შორის ოსმალოს ქვეშევრდომი იაგორ პეტროსოვი მიწიდგან იღებდა ხის სვეტს, რომელზედაც ბაირაღი ეკიდა ამ დროს სვეტი წაიქცა და დაეცა თავზე ერთს ჯარის-კაცს, რომელსაც თავი გაუტეხა. ეს ჯარის-კაცი სამკურნალოში გაგზავნეს და პეტროსოვი-კი პოლიციამ შეიპყრო.

⁂ თელავი: თელაველები ძლიერ მოწადინებულნი იყვნენ, რომ დრუჟინა აქ მდგარიყო, მაგრამ, არა მათზე დამოკიდებულ მიზეზების გამო, დღემდე საწადელი არ უსრულდებოდათ და დღეს კი ვხედავთ უტყუარ ნიშნებს მათის სურვილის აღსრულებისას.

25 აპრილს თელავში მოვიდნენ დრუჟინის ყაზარმების ამშენებელი, კომისიისაგან გამოგზავნილი გენერალი კახანოვი და ინჟინერი მოროზოვი და იმავე დღეს ქალაქის წარმომადგენელ დეპუტატებთან ერთად შეუდგნენ თელავის გარშემო ადგილების დათვალიერებას. 25—26 აპრილს გასინჯეს მიდამოები და შეთარჯეს სამი ადგილი დრუჟინის ყაზარმების ასაშენებლად, მაგრამ ყველაზე უფრო მოიწონეს თელავის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე გაშლილი მინდორი, რომელიც მართლა რომ ზედ გამოჭრილია ყაზარმებისათვის.

როგორც ხმა დადის, უნდა დადგეს ორი დრუჟინა. ამისათვის ქალაქ თელავმა უნდა მისცეს 30 დესეტინა ადგილი, უნდა გამოუყვანოს ქალაქის ხარჯით წყალი. სამს წელიწადს დაივალდებულა ქალაქმა მოხსენებულის წყლის მილების შეკეთება და ხარჯი წყლის წესიერად მომდინარეობისათვის.

წყალი გამომდინარეობს თავ. ვახვახიშვილისა და ზედგინიძის მამულებში. ამ მემამულეებმა მუქთად დაუთმეს წყალი, ხოლო იმ პირობით, რომ ერთი მილი თითონ ვახვახოვების ახლო გამოიყვანონ უბნისათვის. ესეც ფრიად საკეთილო საქმეა.

ამბობენ, ვითომ ერთს მათგანს არ მოეწეროს ხელი რაღაც მიზეზის გამო, მაგრამ ძნელი დასაჯერი არის, რომ კეთილ-გონიერმა კაცმა ხელი შეუშალოს იმისთანა საშვილიშვილო კეთილ საქმეს, როგორიც არის უბნისათვის წყლის გამოყვანა.

⁂ იქიდამვე: 20-ს აპრილს თელავის კლუბის დარბაზში წარმოადგინეს ვოდევილები: „ჯერ ქორწილი, მერე მოურავი", „ახირებულია" და „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი" თვით მოთამაშეთა სასარგებლოდ. წარმოდგენაზე ხალხი ბლომად დაესწრო.

⁂ სოფ. კობი: ჯერ ერთი წელიწადიც არ არის, რომ ჩვენში ბლაღოჩინად დანიშნეს მამა გ—შვილი. ამ ცოტა ხანში პატივცემულმა მღვდელმა ბევრი რამ სასიკეთო საქმე მოიქმედა. უპირველესად ის უნდა მოვახსენოთ, რომ ახალმა ბლაღოჩინმა კარგი განწყობილება და ძმობა ჩამოაგდო თვით სამღვდელოებაში და ნამდვილს ხელმძღვანელობას უწევს როგორც სამღვდელოებას, ისე სამწყსოს. მამა გ—შვილი ჰზრუნავს აგრეთვე სკოლებისათვისაც. მლეთში მოსვლისთანავე მან გაჰმართა სამრევლო სკოლა, სადაც, როგორც ხმა დადის, ძალიან კარგად სწვრთნიან და ასწავლიან ყმაწვილებს. იმასვე განზრახვა აქვს აქაურის ბოქაულის დახმარებით ერთი სკოლა ხევშიაც გამართოს. რომელ სოფელში გამართავენ სკოლას, ჯერ არ ვიცით, ხოლო, ჩვენის აზრით, სოფ. სტეფანწმინდა-კი საუკეთესო ადგილი იქნებოდა, რადგანაც ამ სოფელსა და სხვა სოფლებს შუა მისვლა-მოსვლა ადვილი და მოსახერხებელია.

## სასულიერო მუზეუმი

და

### მეექვსე საუკუნის ქართული ხელ ნაწერი

სასულიერო მუზეუმი, რომელიც გაიმართა შარშან 1888 წელს 15 ივლისს საქართველოს ექსარხოსის პალლადის მიერ, თანდათან მდიდრდება სხვა-და-სხვა შესანიშნავ მანუსკრიპტებითა, ხატებითა, ძველებურის საეკკლესიო შესამოსლებითა და სხვა საარქეოლოგიო ნივთებით.

ამას წინად მუზეი დაათვალიერა თავადმა ტრუბეცკოიმ, უმაღლესის სასახლის ობერ-ჰოფმარშალმა და ბევრი რამ იპოვა ფრიად საყურადღებო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ძველებურს ხელ-საქმეს და ამ ხელ-საქმის საოცარს ნიმუშებს. სხვათა შორის მეტად საკვირველის ხელოვნებით არის ამოკერილი და ნაქარგი წმიდანები ოქრომკედით ფილონზე, ოლარზე და გინგილებზე ქართულის წარწერებითა. ვინ იფიქრებდა, რომ

---

უკეთესო კაცნი თხოულობდნენ ქალისთვის სამოქალაქო და საარჩევანო უფლებას, იწერებოდა ბევრი პეტიცია მრავალ ქალთა ხელ-მოწერილი, სადაც მოხსენებული იყო იგივე თხოვნა. თანაც ივლისის მოღვაწენი დარწმუნდნენ, რომ ზემოხსენებულ უფლებათა რიგიან მოსახმარებლად ქალი ჰსაჭიროებდა უმაღლესს განათლებას. ამიტომაც იმავე დროს შეუდგნენ ზრუნვას, რათა მიეცეს ქალს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნება. 1869 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში იყო გამართული 2 კოლლეგია საგანგებოდ ქალებისათვის. 1870 წლიდამ კემბრიჯისა, დუბლინისა, ედინბურგისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები თანდათან აძლევენ ქალებს ეკზამენების დაჭერის ნებას თანაბრად სტუდენტებთან, ხოლო ჯერ კიდევ არ ანიჭებენ მათ სამეცნიერო ხარისხს. ესე იყო 1876 წლამდე. ამ წელს ქალები იყვნენ მიღებულნი მანჩესტერის უნივერსიტეტის სალვთის-მეტყველო ფაკულტეტზედ. ბრისტოლის უნივერსიტეტმა დაუნიშნა ქალებს სამეცნიერო პრემიები თანაბრად სტუდენტებთან. იმავე წელს პარლამენტში შეწყნარებულ იქმნა ბილლი, რომლის ძალითაც უნივერსიტეტებს აქვსთ ნება აძლიონ ქალებს სამეცნიერო ხარისხი. 1877 წელს გლასგოვის უნივერსიტეტმა მიუშვა ქალები ეკზამენზედ და მისცა მათ სამეცნიერო ხარისხი თანასწორად მამაკაცებთან. ბოლოს, 1878 წელს, ყველაზედ კონსერვატიულმა ლონდონის უნივერსიტეტმაც მისცა ქალებს ლექციების სმენის ნება და მიანიჭა მათ ყველა ის უფლებანი, რაც-კი რამ აქვს უნივერსიტეტის დიპლომს, ერთის სიტყვით, ქალი გაათანასწორა მამაკაცთან. 1878 წლის 1 ივლისს ლონდონის უნივერსიტეტში ითვლებოდა 211 ქალი, რომელნიც ისმენდენ სხვა-და-სხვა პროფესორთა ლექციებს; იგინი იყვნენ ჩარიცხულნი უნივერსიტეტის სიებში, ვითარცა ნამდვილი სტუდენტები. 1882 წელს ამ უნივერსიტეტის მართველობამ ხანგრძლივისა და საფუძლიანის ბაასის შემდეგ ხმის უმეტესობით დაადგინა: იმ ქალს, ვისაც აქვს მიღებული სამეცნიერო ხარისხი, მიეცეს უფლება იყვნენ ამორჩეულნი წევრად იმ მართველობისა, რომელსაც აძევს კისრად კანონების შემუშავება უნივერსიტეტისათვისაო. ამით დაგვირგვინდა განათლების საქმე. ეხლა სწავლის წინაშე ერთია ქალიცა და კაციც. ამ უკანასკნელს წლებში ინგლისში დაარსდა პირველი მთელს დედამიწის ზურგზედ უნივერსიტეტი, დანიშნული განსაკუთრებით ქალებისათვის

რაც შეეხება ინგლისელ ქალის პოლიტიკურს უფლებას, უნდა ვსთქვათ, რომ 1870 წლიდამ მოკიდებული ჩვენ დრომდე შეაქვთ პალატაში კანონ-პროექტები, რათა მიენიჭოთ ქალებს საარჩევანო უფლება, მხოლოდ აქამდის-კი ჯერ არ არის მიღებული იგი. 1870 წელს გამოჩენილმა მეცნიერმა და დედათა უფლების მოსარჩლემ ჯონ სტიუარტ-მილლმა შეიტანა ეს კანონ-პროექტი. ამ პროექტმა პალატაში 73 მომხრე მოიპოვა, რომლებმაც თეთრი კენჭი ჩაუგდეს, რაიცა დიდად საგულისხმოა. შარშან სალისბერის სამინისტრომ ხელ-ახლად შეიტანა ეს კანონ-პროექტი. ეს გარემოება მით უფრო საინტერესოა, რომ პროექტი შეტანილია კონსერვატიულის სამინისტროს მიერ. ყოველივე ესე ჰნიშნავს, რომ დედათა უფლების საქმე ინგლისში მეტად მომწიფებულა და დღეს თუ ხვალ უნდა ველოდეთ იმისს სრულს გამორკვევას. დასასრულ, მოვიყვანთ ერთს ამბავს, რომელიც ჩვენ თვალწინა ხდება და რომელიც ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ ჰზრუნავს თანამედროვე ინგლისელი საზოგადოება ქალის ავ-კარგიანობაზედ. თუმცა ინგლისში ცოლ-ქმართა გაყრის კანონი ისე სასტიკი არ არის, როგორც ბევრგან ევროპაში, მაინც ცოლისთვის დადებულია ზოგი ერთი მძიმე პირობა, რომელიც არ არსებობს ქმრისათვის. ამ წელს დიდებულმა მოხუცმა გლადსტონმა შეიტანა პალატაში პროექტი, რათა მოისპოს ეს შემხუთველი კანონი ცოლისთვისაცაო.

ინგლისზედ არა ნაკლებ ქალების უფლების საქმემ ღრმად გაიდგა ფესვები დანიაში. აქ ამ საგანზე პირველად ჩამოვარდა ლაპარაკი 1850 წელს, ე. ი. სწორედ იმ წელს, როდესაც დაარსდა დანიაში წარმომადგენლობითი მართველობა ქვეყნისა. პალატაში შეტანილი იქმნა საკითხავი შესახებ სარწმუნოებრივის აღზრდისა იმ ყმაწვილთა, რომელნიც იყვნენ ნაშობნი ეგრეთ-წოდებულის ნარევ ცოლ-ქმრისაგან (смѣшанные браки), ე ი. იმისთანა ცოლ-ქმრისაგან, სადაც მეუღლენი ეკუთვნიან სხვა-და-სხვა სარწმუნოებას. ამ საკითხავმა ჩამოაგდო ბაასი მეუღლეთა უფლებაზე შესახებ შვილების აღზრდისა. პალატამ გაარჩია ეს საქმე და მიანიჭა დედას ისეთივე უფლება შვილების აღზრდისა, როგორც მამის. 1857 წელს პალატამ გამოსცა სამი კანონი და ამით საუკეთესოდ შეიცვალა ქალის ყოფა-ცხოვრება: პირველი კანონი შეეხება სრულ-წლოვან ქალს და ამბობს, რომ ყოველი გაუთხოვარი ქალი, რომელსაც-კი შეუსრულდა 25 წელი, არის სრული თავისუფალი ყოველგვარ მზრუნველობისაგანაო; მეორე კანონი ეხება ქალის სამემკვიდრეო უფლებას და ეხლა და ძმა ერთნაირად და თანაბრად იღებენ მონაწილეობას სამემკვიდრეო ქონებაში, აქამდე-კი და იღებდა მხოლოდ ნახევარს ნაწილს ძმისას; მესამე კანონი მოგვითხრობს, რომ ქვრივები და ქმრებისაგან თავ-დანებებული ქალები სრულიად თავისუფალნი არიან ქონების შეძენასა, თამასუქების მიცემასა, ხელოსნობასა, მრეწველობასა და ვაჭრობაშიო. 1880 წელს გამოვიდა ახალი კანონი შესახებ მეუღლეთა განყოფილ ქონებისა (раздѣльное имущество супруговъ). ამ კანონის ძალით ქმრიანს ქალს უფლება აქვს ქმრის დაუკითხავად განაგოს თავისი საკუთრება და თავისის შრომით მონაღავწი ქონება. აქამდე-კი მეუღლეთა ქონება შეადგენდა საერთო საკუთრებას და მხოლოდ ქმარი განაგებდა. რაიცა შეეხება უმაღლესს სწავლა-განათლებას, აქაც ქალებმა დიდი ნაბიჯი წასდგეს წინ. 1875 წლიდგან კოპენჰაგენის უნივერსიტეტი აძლევს ქალებს ლექციების მოსმენის ნებას და ანიჭებს სწავლა-დამთავრებულს ქალებს აკადემიურს უფლებას. ამ უფლებათა ნაკლი ის იყო, რომ ქალს არა ჰქონდა ნება შესულიყო სახელმწიფო სამსახურში. აი ამიტომაც შეიქმნა ბრძოლა საპოლიტიკო უფლების მოსაპოვებლად. 1886 წელს პალატაში პირველად შეტანილ იქმნა კანონ პროექტი, რომელსაც უნდა მიენიჭებინა ქალისათვის საარჩევანო უფლება. პალატამაც გადასცა ეს პროექტი განსახილველად საგანგებოდ დანიშნულ კომისიას, რომელმაც შეამუშავა პროექტი და თავის მხრით წარმოსთქვა შემდეგი აზრი: მიეცეს ქალს ისეთივე საარჩევანო უფლება, როგორიც სუფევს ისლანდიაშიო. უნდა ვსთქვათ, რომ ისლანდიაში 1882 წლიდგან საარჩევანო უფლება სათემო (общинный) და საქალაქო არჩევნებში აქვს მხოლოდ დამოუკიდებელს ქალს. მაშასადამე, ქმრიანი ქალი, რომელიც სცხოვრობს ქმრის შრომით, მოკლებულია ამ უფლებას. პალატამ მიიღო ეს აზრი 516 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 156 ხმისა, მხოლოდ პალატის დახურვამ და სხვა-და სხვა მოულოდნელმა შემთხვევამ არ მისცა ნება განხორციელებულიყო ეს მეტად სანატრელი საქმე. ეხლა ვნახოთ ამერიკელ ქალის ყოფა-ცხოვრება.

მ. გ—შვილი

(დასასრული იქნება)

ჩვენს დედებს მე-XV—XVIII საუკ. ეგრეთი ხელობა ეცოდინებოდათ. ნეტავ როგორ და რა მიზეზით გაჰქრა ის ხელობა?

ზოგიერთ წიგნებში ჩართულია მშვენიერი ნახატები, რომელიც ფრიად საყურადღებო ნახატებად იცნო სამხატვრო ხელოვნების მცოდნემ თავადმა ტრუბეცკოიმ. განსაკუთრებულის აღტაცებით ათვალიერებდა თავადი ნახატებს ერთის დიდის მანუსკრიპტისას, რომელიც ერეკლე მეფის ნაქონია; დიდხანს ვერ მოაშორა თავადმა თვალი ამ მაღალ ხელოვნურ ნახატებს. მუზეუმი მალე მიიღებს აგრეთვე ერთს დავითნს, რომლის ნახატები უმაღლესის ხელოვნებისად იცნო ტრუბეცკოიმვე. ეს დავითნი სამეცნიერო აკადემიაში სამჯერ იქმნა დაბარებული. ყველა ნახატები, რომელიც ჩართულია მე XI—XVIII საუკუნოების მანუსკრიპტებში, თავადმა ჩასთვალა ფრიად საყურადღებოდ მეცნიერებისათვის. სჩანს ეს საუკუნოები „ოქროს საუკუნოები“ ყოფილა მხატვრობისა და ხელოვნებისათვისაც. ყველა ნახატებს აქვს განსაკუთრებით ქართული ხასიათი, როგორც ჩვენს ძველს ეკკლესიებსაც განსაკუთრებული ქართული სახუროთ-მოძღვრო სტილი აქვს, დიუბუას აზრით. მანუსკრიპტებში შესანიშნავია „ძილის პირი“ XIII საუკ., რომელშიაც ჩართულია კათალიკოს არსენი ბულმაისის ძის იამბიკოები, ცნობილის პოეტის შავთელის იამბიკოებივე, წელთ აღრიცხვა და საისტორიო ცნობები*).

ტყავის ხელ-ნაწერებში ბევრია მეათერთმეტე და მეთორმეტე საუკუნის საისტორიო ზედ-წარწერები. უფრო ძველებში შესანიშნავია: ა) დავითნი მცხეთისა, დაწერილი 974 წელს. ამ ხელ-ნაწერში ჩართულია „კვინკლოსი“, ანუ ქართული წელთა აღრიცხვა.

ბ) დიდი ტყავის მეტაფრასი მეათე საუკუნისა, ფარხალის მონასტრისა**), რომელშიაც მოქცეულია რამდენიმე ქადაგება განთქმულის ძველად მოქადაგისა იოანე ბოლნელ ეპისკოპოსისა, რომელზედაც იტყვიან, რომ მჭევრმეტყველობით გააქრისტიანა ავაზაკი უსჯულო, რომელიც მიუხტა მოსაკლავადაო. ეს ახალი ცნობა ფრიად საყურადღებო უნდა იყოს ჩვენის ძველის მწერლობის მოყვარეთათვის. იმავე მანუსკრიპტში იპოვება ორი ქადაგება წმინდა ნინოსი, ცხოვრება წმიდა აბოსი და შუშანიკისა.

გ) უფრო შესანიშნავია სიძველით დიდი ტყავის მეტაფრასი, სვანეთიდგან მოტანილი (№ 19), რომელზედაც იპოვება წარწერა მეათე საუკუნის მწერალთა: იოვანე მტბევარისა და მამა თეოდორესი ამ „წიგნისა მომგებელთა“. უეჭველია, ხელ-ნაწერი უფრო ადრეა ნაწერი. წარჩინებულს არქეოლოგოსს დ. ზ. ბაქრაძეს, პალეოგრაფიულ ნიშნების მიხედვით, ჰგონია, რომ მანუსკრიპტი ეკუთვნის მე-VIII საუკუნეს. ხელ-ნაწერში მოქცეულია წმიდა აბოს ცხოვრება, დაწერილი სამოელ კათალიკოზისათვის (VIII საუკ.) იქ სწერია, რომ წმიდა აბო „დღეთა ამათ შინა“ აწამესო.

მუზეუმში აღმოჩნდა აგრეთვე ხელ-ნაწერი ტყავისა, რომელიც უძველესია და უხუცესი***) ყველა დღევანდლამდის ცნობილ ხელ-ნაწერებში. ეს არის „იაკობის წირვა“, მცხეთის მონასტრიდამ მოტანილი. ეს ხელ-ნაწერი დაწერილია კათალიკოზის სვიმონისთვის და ეკუთვნის მეექვსე საუკუნის დასაწყისს. დასამტკიცებელი საბუთი ამისა ორია: ერთი ის, რომ ბერძენების მეფეები მოხსენებულია იუსტინიანე მეფის დრომდის და თვით იუსტინიანეც და «რომელნი შემდგომად მის მეფობდეს», ე. ი. ვინც იმის შემდეგ იმეფებენო. იუსტინიანე მეფობდა 527—565 წ მეორე დასამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ კათალიკოზი სვიმეონი, რომლისთვისაც დაუწერინებიათ წიგნი, სწორედ იუსტინიანეს დროს სცხოვრობდა (მეცხრე კათალიკოზი), ბაკურ მეფის დროს, როგორც უჩვენებს „ქართლის ცხოვრება“ (გვ. 160) და მესხიშვილისაგან შემოწირული „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელ-ნაწერი.

რასაკვირველია, ზემოხსენებული ხელ-ნაწერი დიდი განძია ჩვენის მწერლობისთვის, მით უმეტეს, რომ გარდა მოხსენებულთ ისტორიულ მოღვაწეთა აღნიშნულია სხვა ისტორიულნი მოღვაწენიც: იოანე აწყვერელი, დაჩი (?), თეოდორე, მიქელ და სხვ. სამწუხაროდ ბოლო თაბახი მანუსკრიპტისა ვიღაცას ამოუჭრია.

ეგრი—

*) ამავე ხელ-ნაწერში შენახულა ფრიად გამოსადეგი ისტორიისათვის ცხოვრება აქამდე არ უწყებულის წმიდისა კალატოზისა „ბასილასი“, რომელსაც სხვის დაუხმარებლად ერთის უღელის ხარითა და ერთის „კარაულითა“ (ჯორითა) (?) აღუშენებია ძველად დიდებული მონასტერი ოპიზისა (ბათუმის მაზრაში).

ავტ.

**) ეს მონასტერი ქოროხის ხეობაშია; მშვენიერი ეკკლესია ფარხალისა დღემდე დაურღვევლად შენახულა; ქრისტიანებიც დარჩენილან ეხლამდე მისს არე-მარეში.

ავტ.

***) ბ-ნ დ. ბაქრაძის აზრით, უუძველესი ქართული ხელ-ნაწერი, დღემდე აღმოჩენილი, არის ოთხთავი, ანუ სახარება, რომელიც პატივცემულმა არქეოლოგმა იპოვა ქსნის ხეობაში, ახალ-გორის ეკკლესიის ძველ ხელ-ნაწერებ შორის.

რედ.

## წვრილი ამბები

ბერლინის ქუჩებზე მუქთად ურიგებენ თურმე ტანისამოსის საწმენდ ჩოტკებს. ამ ჩოტკების ყუაზე დაკრულია განცხადება, რომ საუკეთესო ტანისამოსი იაფი დება კაცთა და ქალთათვის სულ მცირე ფასად ახლად გამართულ ამერიკის მაღაზიაშიო.

— ქალაქს ნამვოტში (ტენესის შტატშია, ამერიკას) ეძებენ თურმე გაქცეულს და უკვე ჩამოხრჩობილს დამნაშავეს, ზანგს მარკ ფრენსისს, რომელსაც კაცის მოკვლისათვის ჩამოხრჩობა ჰქონია გადაწყვეტილი. ეს განაჩენი სასამართლოსი სისრულეში მოუყვანიათ 31 მარტს ლიბონონში. ექიმებმა დაადგინეს, რომ აგერ უკვე 20 წუთია ჩამოკიდებულია, ეხლა უკვე მკვდარია და ამიტომ შეიძლება ჩამოხრჩობილი ნათესავებს გადავცეთ მიწის მისაბარებლადაო. რამდენსამე დღეს შემდეგ ქალაქ სმიტვილიდგან ამბავი მიუვიდათ თურმე, რომ დარჩობილი ზანგი მოვიდა აქა, კუბოთიკი არა და არც მოჩვენების სახით, ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანიო. მარკ ფრენსისი ერთის ფერმერის სახლში ჩამოხდა და ჩვეულებრ მომაკვდავთაგან მხოლოდ იმითი განსხვავდება, რომ კისრის გარშემო სქელი ხელსახოცი ახვევია, რათა დაჰფაროს გადაცრცლილი განი და სიმსივნე. პოლიციის უმთავრესს გამგეობას ტენესისას მაშინვე გაუცია ბრძანება, რომ მსწრაფლ დააპატიმრეთ ეგ ცუდად ჩამოხრჩობილი ავაზაკიო, მაგრამ ზანგმა დრო იხელთა, გაასწრო თურმე და ჩრდილოეთ შტატებში გაასალა თავი.

— პარიჟელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთ „Penny Paper“-ისა ამბობს: ეიფელის კოშკი ისეთი მაღალია, რომ ამ სიმაღლიდგან ადვილად დაინახავს ადამიანი, თუ როგორ ზრაზდება თავადი ბისმარკი, გამოფენის საქმის თანდათანს წინ-სვლას რომ ჰხედავსო.

— ეიფელის კოშკის აშენებისა გარი თანდათან ვრცელდება თურმე ყველგან. უკვე დაუმზადებიათ და ჰყიდიან თურმე ეიფელის შლიაპებს, ეიფელის ყელსახვევებს, საყელოებს à la Eiffel-ს და სხვანი. ამას გარდა უკვე გაუკეთებიათ მაკის თოლაქები, რომელზედაც საფრანგეთის გამოჩენილი კოშკია თურმე დახატული.

— მადრიდში ერთი გაზეთი იბეჭდება თურმე, რომელსაც რედაქტორი არა ჰყავს. თორმეტამდე რეპორტერი შეამხანაგებულნი არიან, მთელი დღე დაწრიწიან და მთელს ქალაქში ახალს ამბებს აგროვებენ თურმე. თავისს შენიშვნებს რეპორტერები სტამბის ყუთში ჰყრიან, ასოთ-ამწყობს უფროსი იღებს და ჰბეჭდავს იმ რიგად, რა რიგადაც ხელში მოჰხვდება. გაზეთი დღეში ორჯელ და მეტჯერაც გამოდის და იმის დაბეჭდვა იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რამდენს ხანში შეიძლებენ და მოაგროვებენ იმდენს მასალას, რაც საჭიროა გაზეთის გავსებისათვის.

— სტამბოლში ამას წინად გარდაცვლილა სამხედრო სასწავლებლის მეკარე, 125 წლის მოხუცი. ამ მეკარეს სახელად ეწოდება ჰაზი-ჰუსეინ-ბაბა და მონაწილეობა მიუღია თითქმის ოსმალეთის ამ საუკუნის ყველა ომში. უკანასკნელ რუს-ოსმალოს ბრძოლის დროს ჰუსეინ-ბაბას ისეთი მამაცობა გამოუჩენია, რომ „ჰაზი“ დაურქმევიათ, ძლევა-მოსილი.

— ამერიკის ფლოტის ლეიტენანტს ჰერის გამოუგონია ერთი გვარი დამბაჩა, რომელიც შეიძლება ჰაერში დასცალოთ, გულა 100 და 120 მეტრზე სქდება და შუშხუნისებურად იშლება ათას ფრად. ამ ნასროლს კაი დარში ოცს მილზედ დაინახავს თურმე ადამიანი. თორმეტი ცალი ამ დამბაჩის გულისა 4 მანეთამდე ჰღირს. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ახლად მოგონილი დამბაჩა ძალიან დიდს სარგებლობას მოიტანს ბრძოლის დროს და ზღვაზედ, როცა საჭიროა, რომ ერთმანეთს შორიდგან ნიშნად შეატყობინონ რამე. ეს დამბაჩა ინგლისისა და შეერთებულ შტატების ჯარსა და ფლოტში უკვე შემოუღიათ სახმარებლად.

— ოჯახისათვის, რასაკვირველია, მცირე მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენს კვერცხსა სდებს ქათამი. ჩვენთა მეოჯახეთ არ იციან ხშირად, რომ დადებულ კვერცხის სიბევრე წლოვანებაზედ არის დამოკიდებული. საქმე იმაშია, რომ უფრო მეტად კვერცხს სამის წლის ქათამი სდებს; ოთხის წლის დედალს კვერცხი უფრო დიდი აქვს. ამას შემდეგ ქათამი რამდენიც ხანში შედის, იმდენი უფრო ცოტა კვერცხსა სდებს, ასე რომ ხუთის წლის დედალს იმდენივე საჭმელი უნდება, რამდენიც სამის წლისას, და სარგებლობაკი იმდენი არ მოაქვს. ამას გარდა, ახალგაზრდა ქათმები ზამთარ-ზაფხულ იკვერცხებიან, ხანს გადასული-კი ზამთარში სულ არა სდებენ კვერცხს. აშკარაა, რომ ოთხს წელს გადაცილებული დედლები ან უნდა გაჰყიდოს პატრონმა, ან საჭმლად იხმაროს, საკვერცხედ-კი მხოლოდ ორის წლისა, სამისა და ოთხის წლისაზედ უმეტესი არ შეინახოს.

— ესეც ერთი ახირებული მიზეზი თავის მოკვლისა. ინგლისის ვიცე-კონსული კასტემლამარეში, ჯემს ამიორი, წასულა სასეირნოდ ვიკო-ეკუენზეში, ხევში გადუჩეხნია თავი და მომკვდარა. იმისს ჯიბეში შემდეგის შინაარსის ბარათი უპოვნიათ: „ისეთი მშვენიერი ტაროსია, ადგილ-მდებარეობა ისეთი საუცხოოა და დღეს ჩემი თავი ისეთ ბედნიერად მიმაჩნია, რომ ეხლავე ვგრძნობ ვერ ავიტან სვალ დასუშულ ჰკარიანს კანტორაში ჯდომას და კიდეც ამიტომ ვიკლავ თავსაო“. ამიორი წელიწად ნახევრის წინად დაქორწინებულა და მეტად ლამაზი იტალიელი ქალი შეურთავს ცოლად.

# დეპეშა

5 მაისი

პეტერბურგი. სტატს-სეკრეტარი რენნენკამპფი დანიშნულ იქმნა გამგებლად მისის უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიისა.

მოსკოვი. სერბიის მიტროპოლიტის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პარაკლისი და შემდეგ პარაკლისისა მიტროპოლიტი მიხეილი წავიდა, დღეს, 12 1/2 საათზედ, კურსკის გზით. მიტროპოლიტი გააცილეს მისმა პატივის-მცემლებმა.

ბერლინი. აქ მყოფ დელეგატებმა ვესტფალიის ქვა-ნახშირის მთხრელებისამ და წევრმა რეიხსტაგისამ ჰალმახერმა, რომელიც ვესტფალის მადნების პატრონთა წარმომადგენელია, მოილაპარაკეს დღეს, რაშიაც უმთავრესად უნდა მორიგდნენ ერთმანეთში მუშები და მადნების პატრონები. უმთავრესი მუხლი მორიგებისა არის: მუშაობა იყოს მხოლოდ 8 საათის განმაელობაში, გარდა იმ დროსი, რომელიც მოუნდება ჩასვლა-ამოსვლას მღვიმე-მაღაროებში; არ უნდა იყოს დაწესებულზე მეტი მუშაობა, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება იყოს მეტი, ხოლო არა უმისოდ, რომ პირველად მადნების პატრონები არ მოურიგდნენ მუშებისაგან არჩეულს დეპუტატებს; უნდა მოემატოთ ხელ-ფასი იმდენი, რამდენსაც მუშები ითხოვდნენ.

6 მაისი

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნენ: მემკვიდრე ცესარევიჩი სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა კომიტეტის წევრად, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარედ, გამგებელი შინაგან საქმეთა სამინისტროსი დურნოვო შინაგან საქმეთა მინისტრად, რომელიც დათხოვნილ იქმნა მისის უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიის თანამდებობისაგან.

უმაღლესი რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე მიწერილი: „ივანე ნიკოლოზის ძევ! მოეუწოდე რა გრაფ დიმიტრი ანდრიას ძეს ტოლსტოის შინაგან საქმეთა მინისტრის ფრიად მძიმე თანამდებობის აღსასრულებლად, დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი ნაცადი ერთგულობა ტახტისა და სამშობლოსი, მისი სახელმწიფო ჭკუა და გონიერული აზრები გაამართლებდა ჩემს იმედს და რომ მისის მტკიცე ხელ-მძღვანელობით ხელ-ქვეითი მოხელეობა ყველგან დაამყარებდა წესიერებასა და მორჩილებას კანონის წინაშე. ჩემდა სამწუხაროდ, გრაფ ტოლსტოი გარდაიცვალა და ვერ მოასწრო სრულად და სავსებით გაეკეთებინა ის, რაც განზრახული იყო. მე თქვენ აგირჩიეთ და დაგნიშნეთ ახლა იმის მოადგილედ, რადგან თქვენ მისი ახლო თანამშრომელი იყავით, როცა მან პირველად დაიწყო მართვა სამინისტროს საქმეებისა გნიშნავთ თქვენ იმის ალაგზე, რადგან თქვენ ზედ-მიწევნით იცით, რა წესსა და რიგს ადგა და რა განზრახვანი ჰქონდა განსვენებულს. იმედი მაქვს, რომ თქვენ განაგრძობთ მისგან დაწყებულს საქმეს ისეთისავე სიმტკიცით და იმავე აზრების თანხმად, რომელიც ჩემგანა ჰქონდა გრაფს ჩაგონებული სახელმძღვანელოდ.

გრაფის მეუღლე სოფია დიმიტრის ასული ტოლსტოისა გულითადს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც სამძიმარი შეუთვალა და გულ-მტკივნეულობა გამოუცხადა მის ქმრის, გრაფ დიმიტრი ანდრიას ძის ტოლსტოის გარდაცვალების გამო. გულითადი და გულწრფელი პატივისცემა მიცვალებულის ხსენებისა დიდად მანუგეშებს და რამდენადმე მიმსუბუქებს მწუხარებასაო.

ათინა. მთელი სახლეულობა მეფისა 27/15 მაისს მიდის პეტერბურგს.

ვენა. ხმა ისმის, რომ პრინცი ფერდინანდ კობურგელი პარიჟის გამოფენაზე წავა და დაინიშნავს ორლეანელთა სახლეულობის პრინცესასო.

ბრიუსელი. ქვა-ნახშირის მადნებში, Deutschland და ჰეიდუკში, ბეიტენეს ახლო, მუშებმა უწესოება მოახდინეს. წესიერების დასაცველად ამ ადგილებში ორი როტა ქვეითი ჯარი იქმნა გაგზავნილი.

8 მაისი

ჩარჯუი. ჩარვილაეტიდამ მოსულნი ავღანელნი ამბობენ, რომ აბდურახმან ხანი ჯერ ისევ მაზარი-შერიფში არისო. მართალია, ისხააკ-ხანის აჯანყების მონაწილეებს აღარა სჯიან სიკვდილითაო, მაგრამ სამაგიეროდ ათასობით ოჯახობანი, ისხააკ-ხანის მომხრენი, ავღანის სათურქესტანოდამ იგზავნებიან. განდევნილი ოჯახობანი ხიზნდებიან ბუხარის სახანოს მთიან საზღვრებშიო.

კიევი. აქ მოვიდა გუშინ მიტროპოლიტი სერბიისა მიხეილი და დროებით ჩამოხტა ლავრაში.

როსტოვი დონისა. გუშინ საღამოს გზად გამოიარა აქ პეტერბურგში მიმავალმა სპარსეთის შაჰმა და დიდის ამბით იქმნა მიღებული დონის ჯარის ატამნის საპატიო ყარაულისა და საზოგადოების მიერ.

ესსენი. ვესტფალიის მუშათა უმრავლესობამ, რომელთაც პირი ჰქონდათ შეკრული და აღარა მუშაობდნენ, გადასწყვიტეს კვლავ დაეიწყოთ მუშაობაო.

რომი. მეფე ჰუმბერტო მემკვიდრე პრინციპითურთ, მინისტრ პრეზიდენტით

კრისპითა და მრავალის ამალით გუშინ წავიდა ბერლინს და უნდა გადუხადოს სამაგიერო დარბაზობა იმპერატორს ვილჰელმს.

ბელგრადი სკუპჩინაში არჩევნები დანიშნულია 14 სექტემბრისათვის, ხოლო თვით სკუპჩინა მოწოდებულია ბელგრადში 1 ოქტომბრისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი

| | მიღებულია. | გამყიდვ. ფასი. | მყიდვ. ფასი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7½ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148 87 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 271¼ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 245¼ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მაისი 31 დღით არის.

9 დღე სამშაბათი. წმ. წინასწარ-მეტყველის ისაიასი; გადატანა ნაწილთა წმ. და საკვირ.-მოქმედ. ნიკოლოოზისა;ღირსისა მამისა ჩვენისა შიო მღვიმელისა. კათოლ. წმ. ნიკოლოოზისა. ესევე სომეხთაცა. მაჰმად. მე-21 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, 1860 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—18. მთვარე 21 დღისაა

10 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქ. სიმონ მოშურნისა, კათოლ. წმ. ისიდორესი. მაჰმად. მე-22 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—რუსეთის მეფე ბორისი თხოულობს თავისის ძის თეოდორესათვის მეუღლედ საქართველოს მეფის ასულს ელენეს და მეფის ძმისწულს ხოსროს მეუღლედვე თავისს ასულის ქსენიასათვის, 1605 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—19. მთვარე 22 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |


# განცხადებანი

## ისყიდება

თეთრი და წითელი ღვინო

სოფელს ახალქალაქში. ღვინის გასინჯვა შეიძლება ყოველ კვირა-დღეობით, მსურველმა ადრესი ჩემი ჰკითხოს გრაკლის სადგურზე სადგურის უფროსს. (4—4)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110) ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შექმნილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საუმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| ხრონ. ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |


# ტფილისის

## ქალაქის გამგეობა

აცნობებს ქ. ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1889 წლის 15 აპრილისათვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ ქონებათა გადასახადის გაწერის თაობაზედ. ეს გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1887 წლის 15 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად.

1888 და 1889 წლების გადასახადთა დამტკიცებული ჯამი შეადგენს 46,618 მან. და 26 კაპ. წელიწადში *) და გადასახადის აკრების ხარჯად ტფილისის ქალაქის საბჭოს 1888 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით გადადებულია 4,600 მან., რომელიც, თანახმად ძიწებზე დაწესებულ გადასახადის დებულების მე-13 მუხლისა, უნდა გამოერთვათ იმ მამულ-მეპატრონეთ, რომელთაც გადასახადი აქვსთ გაწერილი.

1889 წ. დასაფასებელ სიაში შეტანილ ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირებულობა, იმ საფუძველით, რა საფუძველითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 32.721,335 მან. მაშასადამე, ახალ გადასახადის რაოდენობა იქნება:

| დასაფასებელი ჯამი მანეთი | ახალი გადასახადი მან. | კაპ. | გადასახადის მოსაკრები ხარჯი მან. | კაპ. | სულ მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 100,000 | 142 | 46 | 14 | 06 | 156 | 52 |
| 75,000 | 106 | 84 | 10 | 54 | 117 | 38 |
| 50,000 | 71 | 23 | 7 | 03 | 78 | 26 |
| 30,000 | 42 | 74 | 4 | 22 | 46 | 96 |
| 15,000 | 21 | 37 | 2 | 11 | 23 | 48 |
| 10,000 | 14 | 25 | 1 | 41 | 15 | 66 |
| 8,000 | 11 | 40 | 1 | 12 | 12 | 52 |
| 6,000 | 8 | 55 | — | 84 | 9 | 39 |
| 4,000 | 5 | 70 | — | 56 | 6 | 26 |
| 2,000 | 2 | 85 | — | 28 | 3 | 13 |
| 1,000 | 1 | 42 | — | 14 | 1 | 56 |
| 900 | 1 | 28 | — | 13 | 1 | 41 |
| 700 | 1 | — | — | 10 | 1 | 10 |
| 500 | — | 71 | — | 07 | — | 78 |
| 300 | — | 43 | — | 04 | — | 47 |
| 100 | — | 14 | — | 01 | — | 15 |
| 80 | — | 11 | — | 01 | — | 12 |
| 50 | — | 07 | — | 01 | — | 08 |
| 40 | — | 06 | — | 01 | — | 07 |
| 30 | — | 04 | — | — | — | 04 |
| 10 | — | 01 | — | — | — | 01 |
| 5 | — | 01 | — | — | — | 01 |

მაგალითი: ამ გვარად, 8,745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი—12 მან. 47 კაპ. (8,000 მ.—11 მან. 40 კაპ., 700 მან.—1 მან., 40 მან.—6 კაპ. და 5 მან.—1 კაპ., სულ 12 მან. 47 კაპ.) და მოსაკრები ხარჯი 1 მან. 23 კაპ. (1 მან. 12 კაპ.+10 კაპ +1 კაპ.); 56,335 მან. დაფასებულს—80 მან. 26 კაპ. გადასახადი: (71 მან. 23 კაპ.+8 მან. 55 კაპ.+43 კაპ.+4 კაპ.+1 კაპ.) და 7 მან. 91 კაპ. (7 მან. 3 კაპ.+84 კაპ.+4 კაპ.) ხარჯის გადასახადის ასაკრებად, ე. ი. ახალი გადასახადი 1889 წლისა ცოტათი უმეტესია ქალაქის დასაფასებელ გადასახადის ⅕-ზედ.

უძრავ მამულების ახალს გადასახადსა და ქალაქის დასაფასებელ გადასახადს შორის შემდეგი განსხვავებაა:

ა) ახალი გადასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფ ცარიელ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა, თანახმად ქალაქის საბჭოს 1888 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა**).

2) იმ მცირე-ფასიან მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება, თანხმად გადასახადთა დადგენილების 3 მუხლის მე-3 პუნქტისა უძრავ ქონებათა ქალაქებსა და ცალკე ადგილებში (გასანაწილებელ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე ქონებისა ამ 1889 წლისათვის 175 მან.)

3) იმ უძრავ ქონებათ, რომელიც სახელმწიფო ხაზინის ხარჯზედ ინახება, იმავე დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლ პუნქ. თანახმად.

ბ) ახალი გადასახადი გაეწერება:

1) რკინის გზის ქონებათ (1889 წლის გასანაწილებელ სიით ეს ქონებანი დაფასებულია 799,300 მანათად), სახელდობრ:

| №№ ქალაქის აღწერილობით | მოკლედ აღნიშვნა ქონებისა | დაფასებულია მან. | გადასახადი შეხვდება მან. | კაპ. | გადასახადის მოსაკრები ხარჯი მან. | კაპ. | სულ მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 641 | რკინისგზის ბუტკა . . | 200 | — | 28 | — | 03 | — | 31 |
| 674 | ვოგზალი . . . . . | 135000 | 192 | 32 | 18 | 98 | 211 | 30 |
| 675 | სახლი . . № 1 . | 21500 | 30 | 62 | 3 | 02 | 33 | 64 |
| 676 | „ № 2 . | 29000 | 41 | 31 | 4 | 08 | 45 | 39 |
| 677 | „ № 3 . | 29000 | 41 | 31 | 4 | 08 | 45 | 39 |
| 678 | „ № 4 . | 21500 | 30 | 62 | 3 | 02 | 33 | 64 |
| 679 | „ № 5 . | 29000 | 41 | 31 | 4 | 08 | 45 | 39 |
| 680 | „ № 6 . | 29000 | 41 | 31 | 4 | 08 | 45 | 39 |
| 681 | „ № 7 . | 2300 | 3 | 28 | — | 32 | 3 | 60 |
| 682 | ძველი მგზავრთა შენობა . | 6700 | 9 | 55 | — | 94 | 10 | 49 |
| 683 | სახლი № 9 . | 6000 | 8 | 55 | — | 84 | 9 | 39 |
| 684 | სახლი №10 . | 4200 | 5 | 98 | — | 59 | 6 | 57 |
| 685 | სავაგონო სარაია (ხისა) . | 10000 | 14 | 25 | 1 | 41 | 15 | 66 |
| 686 | „ „ „ . | 6400 | 9 | 12 | — | 90 | 10 | 02 |
| 687 | სარაია სამხედრო კუთვნილებათათვის . . . . . . | 5000 | 7 | 12 | — | 70 | 7 | 82 |
| 688 | ხის სარაია (ცეცხლის საქრობ იარაღებისათვის) . . . | 600 | — | 85 | — | 08 | — | 93 |
| 689 | პაკჰაუზები . . . . . | 27400 | 39 | 03 | 3 | 85 | 42 | 88 |
| 690 | ქვიტკირის პაკჰაუზები . . | 20000 | 28 | 49 | 2 | 81 | 31 | 30 |
| 691 | ქვითკირის შენობა . . . | 3600 | 5 | 12 | — | 50 | 5 | 62 |
| 692 | ხის ფარდული . . . . | 1200 | 1 | 70 | — | 17 | 1 | 87 |
| 693 | უმთავრესი საწყობი (ქვითკ. შენობა) . . . . . | 53000 | 75 | 50 | 7 | 45 | 82 | 95 |
| 694 | სახელოსნოები . . . . | 188000 | 267 | 83 | 26 | 43 | 294 | 26 |
| 695 | ორთქლის-მავალთა შენობა. | 790 0 | 112 | 54 | 11 | 11 | 123 | 65 |
| 696 | წყლის მოსათავსებელი შენობა | 5000 | 7 | 12 | — | 70 | 7 | 82 |
| 697 | ძველი წყლის მოსათავს. შენობა | 3000 | 4 | 27 | — | 42 | 4 | 69 |
| 698 | ნავთის ბოლოზი . . . | 5500 | 7 | 83 | — | 77 | 8 | 60 |
| 699 | ნავთის სახარჯო შენობა . | 900 | 1 | 28 | — | 13 | 1 | 41 |
| 700 | ნავთის სახარჯო აუზი . . | 2300 | 3 | 28 | — | 32 | 3 | 60 |
| 701 | საავადმყოფოს ხის შენობა . | 75000 | 106 | 84 | 10 | 54 | 117 | 38 |
| | სულ | 799300 | 1138 | 61 | 112 | 35 | 1250 | 96 |

და 2) იმ ქონებათ, რომელიც ქალაქ ტფილისს ეკუთვნის.

უფრო დაწვრილებულის ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის გამგეობაში***), სადაც განცხადების დაბეჭდვიდგან გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქმნება თხოვნა იმ უძრავ ქონებათა პატრონთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან

ივნისში ქალაქის გამგეობა გასანაწილებელს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დაამტკიცებს თუ არა საბჭო ამ გასანაწილებელს სიებს, ქალაქის გამგეობა დაურიგებს უძრავ ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელზედაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გადასახადი გაეწერა. (1—1)

*) ქალაქის საბჭო უკვე შუამდგომელობს, რომ 1888 წლის გადასახადი ნაწილ-ნაწილ იქმნას შეტანილი.

**) ტფილისის ქალაქის საბჭოს 1889 წლის 16 იანვრის დადგენილებისამებრ, ის მიჯნა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის განაპირ მიწებისაგან, ასე მიიმართება:

ა) მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეზედ:

მიჯნა მიდის მნაცაკანის ხიდიდგან ვარანცოვის ქუჩაზედ, ხუმბათოვისა, აბანოებისა და აბანოების კარებისკენ, მღებრების ქუჩაზე, ძველ პოლიციის შესახვევისკენ, ფეთხაინის პატარა ქუჩაზედ, ფეთხაინის დიდს ქუჩ., ზუბუთოვისა, ბაღის ქუჩაზედ, ბაღის შესახვევში, კონსულისა და გუდოვიჩის ქუჩებზე,კუსიკოვის მამულსა, ბავშვთა თავშესაფარსა და წმ.ნინოს სასწავლებელს უხვევს,მე-4 მთის ქუჩაზედ., გაუვლელს ქუჩაზედ მიდის მთაწმინდის ქუჩ. ერთს ნაწილს საჭრის, 1-ლ და 2-რე მთის ქუჩ. გადადის, № 2 და № 17 გასავლელზე, ლაბორატორიის ქუჩას, ამ ქუჩის ბოლოდგან გადადის 1-ლ და 2-რე მთის ქუჩებზე (ვერისკენ), მიდის აგურხანებისკენ, აქედგან ზემო გასაყვან ქუჩისკენ გადადის სომხების სასაფლაომდე, შემდეგ სასაფლაოს არხიდგან ვარაზის ხევამდე მიდის, იქიდგან ვერის წყარომდე ჩადის და დასასრულ იმ ადგილს ჩერდება, სადაც წყარო მდინარეში ჩადის.

ბ) მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზედ:

მიჯნა გავლებულია ხაზინის მიწებ შორის დიდუბის მინდორსა და თ. ამატუნის აგარაკში დასავლეთის იმ მხარემდე, სადაც ამიერ-კავკასიის რკინის გზას ადგილი დაეთმო; შემდეგ მიჯნა მიდის ამ დათმობილ ადგილზედ ბაქოსკენ, წმ. ანტონის ქუჩამდე (ავლაბარში), მისდევს ამ ქუჩას ავლაბრის ხევამდე და შემდეგ ხევ-და-ხევ მიდის მდ. მტკვარამდე.

***) სიმარჯვისა და იმისათვის, რომ ჩქარა ვიპოვნოთ დავთარში ჩაწერილი უძრავი ქონება, მამულის პატრონთა ვთხოვთ რომლისამე ცნობის შესატყობად თანვე წარმოადგინონ ის კვიტანცია, რომლითაც ქალაქის დასაფასებელი გადასახადი აქვსთ შემოტანილი.


# ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




СЕРЕБРЯНАЯ

## А. А.




ЗОЛОТАЯ

## ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—2) ა. თუთაევი


Доз. ценз. Тифлисъ 8-го Мая 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე